

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სასწავლო ცენტრი
(2007 წელი)**

2005 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის №927 ბრძანებულებით, დაფუძნდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

სასწავლო ცენტრის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა და აღნიშნულ სისტემაში დასაქმებული პერსონალის და დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასაქმებულია 9 შტატის თანამშრომელი და 30 ტრენერი.

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ 2007 წელს შემუშავებულ და დახვეწილ იქნა
შემდეგი სასწავლო პროგრამები:**

- საბაზისო სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის ოფიცერთა შემადგენლობისათვის (85 საათი)
- საბაზისო სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის რიგითი შემადგენლობისათვის (67 საათი)
- მართვის სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელი თანამშრომლებისათვის (42 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკებისათვის (88 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის (96 საათი)
- საბაზისო სასწავლო პროგრამა პრობაციის ოფიცრებისათვის (53 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის ეკონომიური ხაზის თანამშრომელთათვის (40 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთათვის (66 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების თანამშრომელთათვის (30 საათი)
- სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის კადრებისა და კანცელარიის თანამშრომელთათვის (42 საათი)

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მონაცემები, რომელთაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გაიარეს სასწავლო პროგრამები 2007 წელს:

| № | სასჯელაღსრულების დაწესებულების დასახელება | საბაზისო სასწავლო პროგრამა გაიარა | მართვის სასწავლო პროგრამა გაიარა | რეჟიმისა და უსაფრთხოების სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამა |
|---|---------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|----------------------------------|-------------------------------------------------------------|
| 1 | ქ. რუსთავის #6 საპყრობილე | | | 65 |
| 2 | ქ. თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა #5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლები | | | 55 |
| 3 | რუსთავის #2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება | 61 | 8 | 45 |
| 4 | რუსთავის #1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება | 98 | 11 | 59 |
| 5 | ქსნის #7 და თუბ. დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება | 186 | 20 | |
| 6 | გეგუთი #8, ხონი #9 მოქმედი და ქუთაისის ახლადდანიშნულ თანამშრომელთა ტრენინგი | 243 | 30 | |
| 7 | გლდანის #8 საპყრობილის დასანიშნ კანდიდატთა ტრენინგი | | | 144 |
| 8 | სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ქვეჯამი | 588 | 69 | 368 |
| 9 | არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის სტაჟიორი და ახლადდანიშნული თანამშრომლები | 37 | | |

2007 წელს სასწავლო ცენტრმა საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით მოამზადა სასჯელაღსრულების სისტემის 588 მოსამსახურე, მართვის სასწავლო პროგრამის მიხედვით 69 თანამშრომელი, რეჟიმისა და უსაფრთხოების სასწავლო პროგრამის მიხედვით 368 თანამშრომელი, არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის 37 ახლადდანიშნული თანამშრომელი, სულ 1059 თანამშრომელი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით გამოცემული სახელმძღვანელოები:

1. “ტესტები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდისათვის” - 700 ეგზემპლარი - `ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მისია საქართველოში” ფინანსური მხარდაჭერით.
2. “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული” 1500 ეგზემპლარი - SIDA/UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის `სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება” ფარგლებში.
3. სახელმძღვანელო “განათლება სკანდინავიის ციხეებში” 300 ეგზემპლარი - “ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში” (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით.
4. სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული-ს განახლებული ვერსია 500 ეგზემპლარი - SIDA/UNDP- ის მიერ დაფინანსებული პროექტის “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება” ფარგლებში;
5. სახელმძღვანელო “სასჯელაღსრულების დაწესებულებათა რეჟიმისა და უსაფრთხოების თანამშრომელთათვის” - 500 ეგზემპლარი. SIDA/UNDP- ის მიერ დაფინანსებული პროექტის `სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება” ფარგლებში
6. “პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ მართვის სისტემის თანამშრომელთა სახელმძღვანელო” - 1000 ეგზემპლარი SIDA/UNDP- ის მიერ დაფინანსებული პროექტის `სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება” ფარგლებში;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა სხვადასხვა სახელმწიფოების ანალოგიურ სასწავლებლებთან, კერძოდ:

- ნორვეგიის ციხის თანამშრომელთა სასწავლო აკადემია;
- პოლონეთის რესპუბლიკის ციხის თანამშრომელთა მომზადების ძირითადი ცენტრი;
- ლიტვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი;
- ესტონეთის ციხის თანამშრომელთა სასწავლო აკადემია;
- შვედეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი;
- საფრანგეთის ციხის თანამშრომელთა სასწავლო აკადემია.
- ინგლისის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრი.